

## ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2022 წლის 21 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

### განსახილველად მოსამზადებელი საკითხები:

1. კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ (წლის განმავლობაში);
3. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ (წლის განმავლობაში);
4. ვანის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ (თებერვალი - აპრილი);
5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ (აპრილი - ივლისი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ (მაისი-სექტემბერი);
7. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ (ივლისი-ოქტომბერი);
8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღების შესახებ (წლის განმავლობაში);
9. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულების შესახებ (წლის განმავლობაში);

### მოსამენი და განსახილველი ანგარიშები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (იანვარი-თებერვალი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ინფორმაციის მოსმენა განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ (თებერვალი, ნოემბერი)
3. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა (მარტი-აპრილი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის განხილვა 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მარტი-ივნისი);

5. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2021 წელს განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (წლის განმავლობაში);
6. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 15 სხდომა, მათ შორის 12 რიგითი და 3 რიგგარეშე სხდომა; განხილულია 39 საკითხი, რომელთაგან ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანილია 39 საკითხი; მიღებულია 17 დადგენილება და 4 განკარგულება, მოსმენილია 5 ანგარიში.

კომისია შედგება 10 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრი წარმოადგენს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“, 2 წევრი ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 0 წევრი უფრაქციოა.